ედისონის სახელობის სკოლა ნოვაცია

პერიოდული გამოცემა N1, 2025 წ.

ნოვაციის ქრონიკები

თქვენი წარმატება ჩვენი მისიაა!

ინტერვიუ სკოლის დირექტორთან 2

ინტერვიუ სკოლის ფსიქოლოგთან 5

მარიამ ელიზბარიძე – კარიერის კონსულტანტი 7

იყავი შენი ცხოვრების კაპიტანი (ინტერვიუ გიორგი აგირბაიასთან) 9

ფიქრის ზონა 13

ჩვენ ვიწყებთ! (ნორჩ ჟურნალისტთა და ლიტერატურის მოყვარულთა კლუბი „ფოლიანტი“) 10

კალეიდოსკოპი ანუ სკოლის ქრონიკები 14

ინტერვიუ სკოლის დირექტორთან

ლიტერატურის მოყვარულთა კლუბში, როდესაც სკოლის გაზეთის იდეა გაჩნდა და მასზე, მის მაკეტზე მუშაობა დავიწყეთ. ყველამ ერთად გადავწყვიტეთ, რომ უპირობოდ, პირველი ინტერვიუ ედისონის სახელობის სკოლა ნოვაციის დირექტორთან, ქალბატონ თამარ ჯანგულაშვილთან, უნდა ჩაგვეწერა. კლუბმა ეს მისია ჩვენ დაგვავალა. არ დაგიმალვთ და სანამ ჩაწერას დავიწყებდით, ძალიან ვღელავდით, თუმცა ქალბატონი თამარის კეთილგანწყობამ ისე დაგვამშვიდა, ვერც გავიგეთ, როგორ გავიდა ინტერვიუსთვის განკუთვნილი დრო. ქვემოთ შევეცდებით, თითქმის უცვლელად შემოგთავაზოთ ჩვენი საუბრის შინაარსი.

მარიამ ქვაჭრელიშვილი (XI კლ.) და ანასტასია გრიგოლავა (XIკლ.)

***ანასტასია* - მოგესალმებით, ქალბატონო თამარ, მე ანასტასია გრიგოლავა ვარ, ჩვენი სკოლის XI კლასის მოსწავლე.**

***მარიამი* - მე კი მარიამ ქვაჭრელიშვილი. მეც XI კლასის მოსწავლე ვარ. დიდი მადლობა, რომ ინტრვიუსთვის დრო დაგვითმეთ.**

***ანასტასია* - ქალბატონო თამარ, თუ შეიძლება გვითხრათ, ბავშვობაში ვინ გინდოდათ, რომ გამოსულიყავით, ოდესმე თუ წარმოიდგენდით, რომ სკოლის დირექტორი იქნებოდით?**

მადლობა საინტერესო შეკითხვისთვის. მე დირექტორების ოჯახში გავიზარდე. ის კი არა და პაპაც დირექტორი იყო. ყოველ ზაფხულს არდადეგებზე ჩავდიოდი ხოლმე კახეთში. ხშირად დავდიოდი სკოლაში მასთან ერთად და სულ მაინტერესებდა სასკოლო ცხოვრება. ვფიქრობ, ამ მხრივ ჩემი ინტერესი სწორედ ბავშვობამ განაპირობა და, ცხადია, პროფესიაც განათლების კუთხით ავირჩიე. წლები ვიმუშავე უნივერსიტეტში პრორექტორისა და ფაკულტეტის დეკანის პოზიციაზე. ახლა კი სკოლა ნოვაციის სკოლის დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი ვარ, რაც ძალიან მეამაყება. გარდა ამისა, ვკითხულობ ლექციებს სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებში და ვარ განათლების ექსპერტი.

***ანასტასია* - ჩვენთვის ცნობილია, რომ რამდენიმე უცხოურ ენას ფლობთ, რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ დღეს ამ ენების ცოდნა და რა ენების სწავლას გვირჩევთ ჩვენ, მომავალ თაობას?**

ძალიან საინტერესო კითხვაა. მე ვარ ფილოლოგიის მიმართულებით დოქტორი. ინგლისურ ენაზე მიწევდა სწავლა. თავისთავად ინგლისურ ენას მშობლიურივით ვფლობ. ესპანეთშიც ვსწავლობდი ერთი წელი. პიკასოს სკოლაში დავამთავრე ორი დონის სრული კურსი. ესპანურიც საკმაოდ კარგად ვიცი და ეს ძალიან მეამაყება, რადგან, ჩემი აზრით, ის ერთ-ერთი ლამაზი და საინტერესო ენაა. სულ ცოტა ხნის წინაც ვიყავი ესპანეთში და ძალიან გამომადგა ამ ენის ცოდნა. ზოგადად, ძალიან კარგია, როცა იმ ენაზე ესაუბრები ადამიანს, რომელ ქვეყანაშიც ხარ. ასევე ძალიან მნიშნელოვანია გერმანული და იაპონური ენებიც. თუნდაც იმიტომ, რომ გერმანიაში სწავლა უფასოა. თუ ერთი წელი ისწავლით გერმანულ ენას და წახვალთ გერმანიაში, შეძლებთ, რომ ისწავლოთ უფასოდ. ამიტომაცაა, რომ ჩვენი სკოლა ცდილობს, რაც შეიძლება მეტი საბაზისო ცოდნა მოგცეთ ამ მხრივ. მაგალითად, ინგლისური ენის სწავლება წელს სკოლაში საერთაშორისოდ აღიარებული Macmillan Education-ის და Pearson-ის სახელმძღვანელოებით გავაგრძელეთ. უკვე VII-XII კლასის მოსწავლეებს ექნებათ საშუალება ჩააბარონ Pearson-ის საერთაშორისო Level ტესტი, რომელიც ამოწმებს მოსმენას, კითხვას და წერას და დაფუძნებულია ხელოვნურ ინტელექტზე. ტესტი განსაზღვრავს ინგლისური ენის ცოდნის დონეს საერთაშორისო ევროპული ჩარჩოს მიხედვით. ამასთანავე ჩვენს

სკოლაში დამატებით გერმანული ენის სწავლაცაა შესაძლებელი, რა თქმა უნდა, სურვილისამებრ. ხოლო, რაც შეეხება იაპონურს. ამ ენის შესწავლაც შესაძლებელია ჩვენს სკოლაში. იაპონიაშიც ძალიან ბევრი კარგი უნივერსიტეტია და ეს ენაც საკმაოდ საინტერესოა დღეს ახალგაზრდებისთვის. ასე რომ, ჩვენს სკოლაში, ინგლისურის გარდა, მოსწავლეს შეუძლია მეორე უცხო ენად აირჩიოს გერმანული, იაპონური, რუსული და ესპანური.

***მარიამი* - ქალბატონო თამარ, ჩვენი გაზეთის მკითხველს, ალბათ, აინტერესებს, გარდა უცხო ენების გაძლიერებული სწავლისა, კიდევ რას სთავაზობთ ჩვენს სკოლაში სწავლის გაგრძელების მსურველთ?**

მინდა ჩვენი სკოლით დაინტერესებულმა ადამიანებმა იცოდნენ, რომ სკოლა ნოვაციაში უცხო ენებთან ერთად, მათემატიკა და ქართული ენა და ლიტერატურაც გაძლიერებულად ისწავლება. ამ საგნების სწავლებისთვის გაზრდილია საათობრივი დატვირთვა. მაგალითად, სკოლამ წელს მადლობის ფურცელი მიიღო მათემატიკის ოლიმპიადის „ევერესტის“ დამფუძნებლისა და ხელმძღვანელისგან ოლიმპიადაში მოსწავლეების წარმატებული მონაწილეობისთვის. რაც შეეხება ქართულს, უკვე ზედიზედ ორი წელია სკოლა მადლობის სიგელებს იღებს კონკურსის „ვწერ თავისუფალ თემის“ ორგანიზატორებისაგან. ეს კონკურსი განსაკუთრებული ჰუმანიტარული უნარებით დაჯილდოებულ მოსაწავლეთა გამოვლენისთვის ტარდება და წელს ჩვენი სკოლის მოსწავლე ლუკა ტალიაშვილი გამარჯვებულ ათეულში მოხვდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლის ყველა აუდიტორია აღჭურვილია სმარტ დაფებით, პროექტორებითა და პერსონალური კომპიუტერებით. ეს საშუალებას აძლევთ მასწავლებლებს თანამედროვე ტექნოლოგიები აქტიურად გამოიყენონ სასწავლო პროცესში. VII კლასიდან სკოლამ დაიწყო Pearson-ის საერთაშორისო სახელმძღვანელოებით ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლება, რომელიც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს დაეუფლონ და გაეცნონ სამივე საგნის საფუძვლებს.

აღსანიშნავია, ისიც, რომ ახალი სასწავლო წლიდან სკოლამ VI კლასიდან STEM მიდგომის დანერგვა დაიწყო ფორმალურ განათლებაში. მასში გაერთიანებული საგნების (საბუნებისმეტყველო, ტექნოლოგიები, მათემატიკა) ათვისება იზოლირებული სწავლების გზით მიმდინარეობს. ვფიქრობ, STEM სწავლების დანერგვა ფორმალურ განათლებაში ინტერესს გაუღვივებს მოსწავლეებს კონკრეტული საგნებისა და პროფესიების მიმართ, ასევე დაანახებს STEM-ის მომავლისთვის საჭირო შესაძლებლობებს ექსპერიმენტებში მონაწილეობით, შეცდომების დაშვებითა და საკუთარი გამოცდილებაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანით. მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და ანალიტიკური უნარები, ლოგიკური ანალიზის უნარი და კვლევის უნარი, რაც მნიშვნელოვანია პროექტზე დაფუძნებული სწავლების მიდგომის დანერგვისთვის, ამასთანავე მოსწავლეებში იწვევს ცნობისმოყვარეობას STEM-ში გაერთიანებული საგნების მიმართ.

აღსანიშნავია, რომ სკოლა ნოვაცია თანამშრომლობს კომპანია სთიმითთან (STEAMit), რომელიც სკოლას ამარაგებს STEM ნაკრებებით. თანამშრომლობა მოიცავს ვორქშოფებსა და ტრენინგებში მასწავლებლებისა და მოსწავლეების მონაწილეობას და გადამზადებას კურიკულუმების შექმნაში, ექსტრაკურიკულარული პროგრამების დანერგვის მიზნით სკოლის მხარდაჭერას, სეზონურ ბანაკებში მოსწავლეების მონაწილეობას.

სკოლა თანამშრომლობს როკო აკადემიასთანაც, რომელიც საშუალებს აძლევს სკოლას ლეგო-რობოტიკის კლუბის ფარგლებში მოსწავლეებს გააცნოს რობოტების მუშაობის პრინციპი და პროგრამირების საფუძვლები. რობოტიკა ხელს უწყობს მოსწავლეებში ტექნოლოგიური ცნობიერების გაღვივებას, ლოგიკური აზროვნების, კრეატიული და ინოვაციური აზროვნებისა და პრობლემების გადაჭრის უნარის განვითარებას.

მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივ და საერთაშორისო ოლიმპიადებში.

არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით სკოლა ნოვაცია 2022 წლიდან აქტიურად არის ჩართული ერაზმუს+ პროექტებში. სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები ყოველწლიურად მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში ბრიუსელსა და მადრიდში. სკოლაში ფუნქციორებს ხატვის, ძერწვისა და ჭადრაკის წრეები, ხალხური სიმღერებისა და ცეკვის წრეები.

***ანასტასია* - შეუზღდავი რესურსი რომ გქონდეთ, სკოლაში რას შეცვლიდით?**

შეუზღუდავი რესურსი რომ მქონდეს, გვექნებოდა კიდევ ერთი კორპუსი, რომელსაც სამომავლოდ ისედაც ვგეგმავთ. ძალიან ბევრი საერთაშორისო პროგრამა და პროექტი, თუმცა ამ კუთხითაც მალე ბევრ სიახლეს შევთავაზებთ ჩვენი სკოლის მოსწავლეებს. გაცვლითი პროგრამები და უფრო მაღალი ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტის ჩართვა სასწავლო პროცესში და ძალიან ბევრი რამ, რაც გააუმჯობესებს სასწავლო პროცესს, თუმცა, ვფიქრობ, ამ ეტაპზე რაც გვაქვს, მაქსიმალურად ვიყენებთ ამ შესაძლებლობებს და მუდმივად ვვითარდებით.

***მარიამი* - სკოლა დღითიდღე ვითარდებაო, ბრძანებთ. როგორ უმკლავდებით ბიზნესის მართვას?**

ნებისმიერი საკითხი დამოკიდებულია პიროვნულ და პროფესიულ ზრდაზე. როგორც წესი, არასდროს ვჩერდები. ყოველთვის ვსწავლობ და ვეცნობი სიახლეებს, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის ცოდნა, რომელსაც ახლა ვიღებ, როგორც დირექტორი. გავუმკლავდე იმ საჭიროებებს, რომელიც არსებობს, თუნდაც მენეჯმენტის ან სიახლეების დანერგვის კუთხით, თანმიმდევრულად ვაკეთო და თან თანხვედრაში ვიყო იმ გამოწვევებთან და სიახლეებთან, რომელიც სკოლის გარეთ არის, მაიძულებს ფორმაში ვიყო. სწავლა, თანამშრომლობა, პროფესიული და პიროვნული ზრდა და შემდგომ უკვე სკოლაში დანერგვა – ეს ყველაფერი მეხმარება სკოლის პრესტიჟის ამაღლებასა და წარმატებაში.

***ანასტასია* - როგორც ჩვენი სკოლის დირექტორს, ყველაზე დასამახსოვრებელი და სასიამოვნო რა გახსენდებათ სკოლის ცხოვრებიდან?**

ჩემთვის ძალიან სასიამოვნო და მნიშნელოვანია, როცა მოსწავლეები თვითონ გეგმავენ და ახორციელებენ პროექტებს. უნდა ხმამაღლა ვთქვა, რომ პროექტები და პროგრამები, სკოლის თვითმართველობა ახორციელებს, ძალიან

მეამაყება. მათ იციან, რომ ყველანაირად მხარდაჭერილი იქნებიან, თუ, რა თქმა უნდა, მათი წამოწყება, თავისთავად თანხვედრაში იქნება სკოლის მიზნებსა და მისიასთან. გასული სასწავლო წელი განსაკუთრებულად გამოირჩეოდა ღონისძიებებითა და პროექტებით. ამ მხრივ. ყველაზე დასამახსოვრებელი მაინც მეთორმეტეკლასელთა ბოლო ზარი იყო. საოცარი ბავშვები იყვნენ, ყველა მათგანი სტუდენტი გახდა. ჩვენ ვამაყობთ მათი წარმატებით. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი და სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ 2023 წლიდან 20-მა მასწავლებელმა მიიღო მონაწილეობა გაცვლით პროგრამაში და მალე მოსწავლეების გაგზავნასაც დავიწყებთ უცხოეთში. აღსანიშნავია, რომ სკოლის კურდამთავრებულებთან არ ვწყვეტთ ურთიერთობას და 2024-2025 წლებში 6 კურსდამთავრებული გაემგზავრა მადრიდში კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ასევე პროფორიენტაციის კუთხით სკოლის მოსწავლეებთან ჩვენი კურსდამთავრებულები ახორციელებენ შეხვედრებს და საკუთარი პროფესიული არჩევანის უპირატესობების შესახებ ინფორმაციას უზიარებენ.

***მარიამი* - როგორც ვიცით, განათლების სისტემას ძალიან კარგად იცნობთ. საინტერესოა, როგორც დირექტორი რას შეცვლიდით ან რას დაამატებდით დღევანდელი განათლების სისტემაში?**

დაახლოებით 20 წელია, რაც განათლების სფეროში ვმუშაობ და ვარ განათლების ადმინისტრირების მაგისტრი. სულ ვეცნობი სიახლეებს და ვცდილობ სკოლაში შემოტანას, როგორც მართვის, ასევე პროექტების განხორციელების კუთხით. სისტემაში შევცვლიდი იმას, რომ უფრო მეტ თავისუფლებას მივანიჭებდი სკოლებს. ეს, ვფიქრობ, ხელს შეგვიწყობს განვითარებაში და მეტი სიახლეების დანერგვაში.

სასკოლო საგნების პარალელურად მეტი ყურადღება მიექცეს ფინანსურ განათლებას, კრიტიკულ აზროვნებას, კომუნიკაციის კულტურას, ტექნოლოგიურ უნარებს, როგორიცაა კოდირება, მონაცემთა ანალიზი, ციფრული უსაფრთხოება. ასევე სკოლებში კლასების ინფრასტრუქტურა და საკლასო გარემო ხელს უნდა უწყობდეს არა მხოლოდ მჯდომარე სწავლას, არამედ მოძრაობას, ექსპერიმენტს და შემოქმედებას. მნიშვნელოვანია მოსწავლეების ემოციური ინტელექტი და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, მოსწავლეებს სჭირდებათ უნარი მართონ სტრესი, ემოციები, კონფლიქტები. სკოლაში ფსიქოლოგის, მენტორისა და მხარდამჭერი გარემოს როლი გადამწყვეტია. ასევე, მასწავლებლებს მუდმივად სჭირდებათ თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების ცოდნა, გადამზადება, მენტორობა და მუდმივი მხარდაჭერა სასწავლო პროცესში. ჩვენი მხრივ, როგორც ერთი სკოლა, ყველაფერს ვაკეთებთ, რომ შევასრულოთ სკოლის მთავარი მისია. ასევე შევქმნათ ისეთი საგანმანათლებლო კერა, სადაც მოსწავლე და მასწავლებელი, მშობელი და სკოლის ადმინისტრაცია თანხმდებიან საერთო მიზნებზე და ამ მიზნების განსახორციელებლად ერთიანდებიან, რომ საფუძველი ჩაუყარონ მომავალი თაობის უკეთეს მომავალს.

***ანასტასია* - რომელი ქვეყნის განათლების სისტემას ანიჭებთ უპირატესობას და სად გვირჩევდით სწავლის გაგრძელებას?**

ჩემი სურვილია, რომ ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა სწავლა გააგრძელონ როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში ბაკალავრიატის საფეხურზე. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ რაღაც საკითხების შეცვლა დაგვჭირდება სახელმძღვანელოების კუთხით, სწავლების მეთოდებში, ტექნოლოგიების დანერგვისა და ინოვაციური პროექტების განხორციელების კუთხით, ასევე თანამშრომლობა უცხოურ უნივერსიტეტებთან, მათი მოწვევა სკოლაში და ასევე ჩვენი მოსწავლეების ინფორმირება და მოტივაცია მონაწილეობა მიიღონ უცხოური უნივერსიტეტების გამოფენებში. სექტემბრიდან უკვე აქტიურად ვიმუშავებთ ამაზე. განსაკუთრებით მაღალ კლასებში. მე ამერიკულ და ასევე ბრიტანულ განათლების სისტემას ვანიჭებ უპირატესობას, რადგან მაქვს გამოცდილებაც, მისწავლია როგორც ამერიკაში, ასევე ბრიტანეთში. კონსერვატიულია და თანაც თანხვედრაშია ჩვენს სასკოლო განათლებასთან.

***მარიამი* - თქვენ ბევრ ქვეყანაში გიმოგზაურიათ და თუ შეგიძლიათ გვიამბოთ პირველი მოგზაურობისა და გამოცდილების შესახებ და ასევე რომელ ქვეყანას უბრუნდებით ყველაზე ხშირად?**

ყველაზე ხშრად ესპანეთს ვუბრუნდები. ამ წელს დაახლოებით მეთერთმეტედ ვიყავი ესპანეთში და ძალიან მიყვარს ეს ქვეყანა. რაც შეეხება პირველ გამოცდილებას, პირველი გაცვლითი პროგრამით 2010 წელს წავედი პორტუგალიაში. დაახლოებით ორკვირიანი კურსი გავიარე, არაფორმალური განათლების მართვის მიმართულებით. მარტო წავედი ქვეყნიდან, ვცხოვრობდი, ვსწავლობდი და ეს ძალიან კარგი გამოცდილება იყო. ჩემი რჩევაა, სანამ რომელიმე თქვენგანი მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ ეტაპზე გადავა, კარგი იქნება, თუ გაცვლით პროგრამებში აქტიურად მიიღებს მონაწილეობას. ჩვენ ამაში დაგეხმარებით!

***მარიამი/ანასტასია* - დიდი მადლობა, ქალბატონო თამარ, დრო რომ დაგვითმეთ. წარმატებებს გისურვებთ თქვენც და ჩვენს სკოლასაც.**

P.S. ჩვენ კიდევ გავაგრძელებდით საუბარს, მაგრამ ქალბატონ თამარს ისეთი გადატვირთული გრაფიკი აქვს, რომ კიდევ მეტად შეგვეწუხებინა, მოგვერიდა. დავემშვიდობეთ ჩვენს საყვარელ დირექტორს, უკან მოგვყვება მისი თბილი ღიმილი და ახლა უკვე გვჯერა, რომ ჩვენი ოცნება ახდება. სკოლის გაზეთის მხოლოდ ციფრული ვერსია კი არ გვექნება, მატერიალური სახით დაბეჭდვასაც შევძლებთ. რადგან ის არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია მიზნისკენ მთელი შენი რესურსებით ბრძოლა შთაგაგონოს, გასწავლოს, როგორ აქციო ოცნება რეალობად.

სტატიის ავტორები: მარიამ ქვაჭრელიშვილი (XI კლ.)
და ანასტასია გრიგოლავა (XI კლ.)

ინტერვიუ სკოლის ფსიქოლოგთან

ქალბატონი თამარ მწყერალაშვილი, ჩვენი სკოლის ფსიქოლოგი, განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრია. მისი სათნო მზერა ბავშვის გულამდე აღწევს და ნდობით ავსებს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ მასთან ინტერვიუს ჩაწერა.

***ლილე* - გამარჯობა. მე და ბარბარე ვართ სკოლა ნოვაციის ლიტერატურული კლუბის წევრები. ძალიან დიდი მადლობა, რომ ჩვენთან გასაუბრებისთვის დრო გამონახეთ.**

პირიქით, მადლობა თქვენ მოწვევისთვის.

***ბარბარე* - ქალბატონო თამარ, ძალიან გვაინტერესებს, რამ განაპირობა თქვენი მუშაობა ფსიქოლოგიის სფეროში?**

სიმართლე გითხრათ, საერთოდ არ მქონდა გადაწყვეტილი, რომ ფსიქოლოგიის ფაკულტეტს ავირჩევდი. გაგიკვირდებათ და თავიდან მინდოდა გამოვსულიყავი ეკოლოგი, მაგრამ ერთხელ, როდესაც ბიოლოგიის გამოცდას ვაბარებდი, გამოცდაზე შესვლამდე კედელზე წავიკითხე წარწერა: „ფსიქოლოგია - მოძღვრება ადამიანის სულის შესახებ“. გაოგნებული დავრჩი. ამ წარწერაზე ფიქრმა მიმიყვანა ფსიქოლოგიის სფერომდე. საბოლოოდ ამ ყველაფერმა ისე დამაინტერესა, რომ გადავწყვიტე ეს ჩემი ძირითადი პროფესია გამხდარიყო და ამაში ჩემმა ხელმძღვანელმაც (ერთ-ერთმა ლექტორმა) იქონია დიდი გავლენა, მისი წყალობით დღეს მე ვარ მაგისტრი ფსიქოლოგი. მადლობა მას. მისი თვალსაჩინოებით სავსე ლექციები არასოდეს დამავიწყდება. დავყავდით ისეთ ადგილებში, სადაც შეგვეძლო გვენახა, როგორ უნდა დაამყარო ადამიანებთან ურთიერთობა, თუნდაც ბავშვებთან. ასევე როგორ მოვაგვაროთ პირად ცხოვრებაში პატარა გამოწვევები, რომლებიც ჩვენ წინაშე დგება და ეს იყო სტიმული, რამაც შემაძლებინა დავხმარებოდი ადამიანებს და ჩემი წვლილი შემეტანა მათი პრობლემების მოგვარებაში.

***ლილე* - საინტერესოა, ბავშვობაში ვინ გინდოდათ რომ გამოსულიყავით?**

ბავშვობაში მინდოდა ექიმობა, პედიატრობა, ბავშვებთან ურთერთობა და თამაში ძალიან მიყვარს!

***ბარბარე* - ამდენ დიდ თუ პატარა ადამიანთან ურთიერთობა თქვენზე ნეგატიურად ხომ არ აისახება? როგორ უმკლავდებით ამას?**

მთელი ის ემოცია და ენერგია, რომელსაც ვიღებ ადამიანისგან, რა თქმა უნდა, მოქმედებს ჩემზე. ზოგადად, ენერგიების გაზიარება ყველა ურთიერთობის დროს ხდება, მაგრამ ამან დიდი კვალი არ უნდა დატოვოს ფსიქოლოგზე. თუ მე ადამიანი მესაუბრება და ნეგატიურად ვარ განწყობილი, როგორ მოვახერხებ მის თანადგომას? ამიტომ თავიდანვე მაქვს გაცნობიერებული, რომ მე ვარ ის პიროვნება, რომელიც ადამიანს ეხმარება პრობლემებისა და სირთულეების მოგვარებაში. ცხადია, პირველ რიგში, მე უნდა ვიყო მზად მის მოსასმენად, ობიექტური რჩევის მისაცემად და მის დასახმარებლად

***ლილე* - გინანიათ ოდესმე ამ პროფესიის არჩევა?**

არა, არასდროს არ მინანია და ყოველთვის ვცდილობ, რომ განვვითარდე. ყველა ადამიანი ინდივიდუალურია, ამიტომ ერთი და იგივე სტრატეგია ყველასთან არ მოქმედებს. მიუხედავად იმისა, რომ წლებმა გარკვეული გამოც-

დილება დამიგროვა, მუდმივად ვცდილობ, რომ, რაც შეიძლება მეტი ტრენინგი გავიარო, დავესწრო ლექციებსა და სემინარებს, გავეცნო სიახლეებს. ვფიქრობ, რომ აქ, ამ სფეროში, მოდუნება და თვითკმაყოფილება დაუშვებელია.

***ბარბარე* - ფსიქოლოგიის რომელმა მიმართულებამ ან მეთოდებმა იქონია თქვენზე ყველაზე დიდი გავლენა?**

მე ამ პროფესიაში განსაკუთრებით „განათლების ფსიქოლოგიამ“ დამაინტერესა. როდესაც ჩვენი ლექტორი გვიტარებდა პრაქტიკულ მეცადინეობებს სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებთან, რომელებთანაც განსაკუთრებული სწავლების მეთოდები და მიდგომები უნდა გამოვიყენოთ. ჩემი ყურადღება იმან მიიქცია, რომ მათ აქვთ უნარი სწავლისა, მაგრამ მარტივად არ შეუძლიათ რაღაცები დაიმახსოვრონ. არსებობს მულტიმოდალური მიდგომები, სენსორული, აუდიალური და სხვა, უამრავი სწავლების მეთოდი, რომელთა გამოყენებითაც შევძლებთ სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების დახმარებას. სწორედ ეს ბავშვები იყვნენ ჩემი მოტივატორები, რატომაც ავირჩიე „განათლების ფსიქოლოგია“.

***ლილე* - რას ურჩევთ ახალგაზრდებს, რომლებიც ფსიქოლოგიით არიან დაინტერესებულნი და ამ პროფესიაზე შეაჩერეს არჩევანი?**

პირველ რიგში, გაიაზრონ, რატომ ირჩევენ ამ სფეროს - იმიტომ, რომ საკუთარ თავს დაეხმარონ, თუ იმიტომ, რომ სხვას დაეხმარონ. ეს პროფესია როცა ავირჩიე, ჩემი მიზანი იყო, რომ ჯერ საკუთარი თავი შემესწავლა. როდესაც ეს ნაწილობრივ შევძელი, შემდეგ უკვე დავიწყე ფიქრი იმაზე, რომ მე სხვას ვჭირდები. სწორედ ამიტომ გირჩევთ, რომ გაეცნოთ უამრავ ლიტერატურას, კვლევას, მოიძიოთ ინფორმაცია ფსიქოლოგიის სფეროებზე, ამის შემდეგ აირჩიოთ მიმართულება, რომელსაც შეისწავლით და გაჰყვებით ბოლომდე.

***ბარბარე* - როგორ ფიქრობთ, როგორ შეიცვალა ახალგაზრდების ფსიქოლოგიური საჭიროებები ბოლო წლებში?**

ვფიქრობ, ძალიან შეიცვალა. ზოგადად გაიზარდა მოთხოვნილებები ადამიანებში. მათ შორის ბავშვებშიც. მათ მეტი სურვილი აქვთ, იყვნენ თავისუფლები. აკეთონ ის, რაც უნდათ და გამოხატონ საკუთარი თავი. ასევე, ვფიქრობ , ბავშვებს მეტად უჭირთ სოციო-ემოციურ სფეროში, რადგან არ შეუძლიათ ემოციების დაბალანსება, როცა მათი მოთხოვნა ვერ კმაყოფილდება.

***ბარბარე* - გვაინტერესებს, რა როლი აქვს სკოლის ფსიქოლოგს სასკოლო გარემოში?**

სკოლის ფსიქოლოგის როლი სასკოლო ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არის ის „იარაღი“, რომელიც იბრძვის სასკოლო ცხოვრებაში არსებული სირთულეების მოსაგვარებლად. სკოლის ფსიქოლოგს აქვს მიზანი, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ წარმატებები აკადემიურ, ემოციურ და სოციალურ სფეროში. ჩვენ ხშირად ვთანამშრომლობთ, როგორც ბავშვებთან, პედაგოგებთან, სკოლის სხვა კადრებთან, ასევე მშობლებთან, რადგან აუცილებელია „მყარი ჯაჭვი“ შეიქმნას მშობელსა და სკოლას შორის. მშობელს აქვს უფლება ინფორმაცია ჰქონდეს საკუთარი შვილის სწავლებისა თუ ფსიქიკური ჯანმრთელობის საჭიროებებზე. ხშირად ის, როდესაც ხედავს, რომ მისი შვილის ქცევა შეიცვალა. თვითონ მიმართავს სკოლის ფსიქოლოგს, რომელიც ეძებს ამ ცვლილებების მიზეზს, რათა მისცეს მშობელს შესაბამისი რეკომენდაციები.

ხშირია შემთხვევები, როდესაც გარკვეული მიზეზების გამო მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება დაბალია. პედაგოგებისთვის ეს ცვლილება შეუმჩნეველი არ რჩება, ამიტომ მათთან ერთად ვგეგმავთ შესაბამისი ჩარევის სქემას, ვეძებთ იმ საწყის წერტილს, რამაც გამოიწვია დაბალი აკადემიური მოსწრება და ვცდილობთ გავიგოთ, რამ შეცვალა მოსწავლის სწავლის დონე. თუმცა უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ყველა ბავშვი ინდივიდუალურია და არ არსებობს კონკრეტული გზა, რომელიც ყველა ბავშვს ერთნაირად მოერგება და გადაჭრის მათ პრობლემას.

***ლილე* - როგორ უნდა იზრუნოს მასწავლებელმა მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასა და პიროვნებაზე?**

სასკოლო ცხოვრების ყველა ეტაპზე მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის უნდა იყოს თბილი ურთიერთობა, როცა მასწავლებელი ყურადღებიანია და მოსიყვარულე, მის მიმართ ნდობაც დიდია. მინდა ხაზი გავუსვა პედაგოგის სამ თვისებას, რომელიც მოსწავლეების ყურადღებას იქცევს. პირველი თვისება, ეს არის მზრუნველობა. მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია პედაგოგი იყოს მზრუნველი, თავაზიანი, გამგები, იუმორის გრძნობით სავსე. ასეთი მასწავლებელი ხელს უწყობს მათი მიზნების განხორციელებას. მეორე თვისება ეს არის გადმოცემისა და კლასის ეფექტურად მართვის უნარი. მესამე თვისება არის შემოქმედებითობა, რომელიც მოსწავლეთა ნაწილისთვის პრიორიტეტულია. ასეთი უნარის მქონე მასწავლებელს აქვს სწავლების განსხვავებული მიდგომა, რაც სასწავლო პროცესს ხალისიანსა და საინტერესოს ხდის.

თავისთავად სწავლა სულაც არ გულისხმობს მხოლოდ გამზადებული სახით მასალის გადაცემას. ეს არის შემოქმედებითი პროცესი, სადაც პედაგოგის დახმარებით ბავშვი ცდილობს შეისწავლოს სამყარო, ჯანსაღი ურთიერთობები დააამყაროს გარშემომმყოფებთან. თითოეულ მოსწავლეს აქვს განსხვავებული სასწავლო მოტივი, რომელიც განსხვავებულ ტაქტიკას მოითხოვს პედაგოგის მხრიდან. ამიტომ მნიშვნელოვანია ზრუნვა როგორც სასწავლო პროცესზე, ასევე ხელშეწყობა დადებითი ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე, რადგან ბავშვები მუდმივად იბრძვიან იმისათვის, რომ გარშემომყოფთაგან მიიღონ პატივისცემა, სიყვარული, ნდობა და მხარდაჭერა.

P.S ინტერვიუს ბოლოს მადლობა გადავუხადეთ ჩვენს საინტერესო რესპოდენტს. იმედი დავიტოვეთ, რომ კიდევ მოგვეცემა მასთან გასაუბრების საშუალება.

სტატიის ავტორები: ბარბარე არღუთაშვილი (IX კლ.)
და ლილე შარიქაძე (IX კლ.)

მარიამ ედიბერიძე – კარიერის კონსულტანტი

პროფესიული არჩევანის გაკეთება სწრაფად ცვალებად გარემოში ძალიან საპასუხისმგებლოა. სკოლამდელ ასაკშიც კი შეიძლება დაგვისვან კითხვა, ვინ გინდა გამოხვიდეო. ზოგს სპაიდერმენობა უნდა, ზოგს ექიმობა, ზოგს ფეხბურთელობა და ზოგსაც პოლიციელობა, ანდა სულაც მომღერლობა. დამამთავრებელ კლასებში კი ასე ხალისით ვეღარ ვპასუხობთ მსგავს კითხვებზე. არჩევანის გაკეთება გვიჭირს და ხშირად მოუმზადებელი ვხვდებით სკოლის დამთავრებას. დაბნეულებს ვერ გაგვირკვევია, რომელ პროფესიაში გვინდა წასვლა. სწორედ ამიტომაც სკოლა ზრუნავს ჩვენზე, ჩვენს მომავალზე და ჩვენთან სასაუბროდ მოიწვია საქართველოში პირველი (ოქროს) სერთიფიცირებული კარიერის კონსულტატი - მარიამ ედიბერიძე.

პირველ რიგში, გვინდა სიხარულით აღვნიშნოთ, რომ, მიუხედავად გადატვირთული გრაფიკისა, მაინც დაგვთანხმდით ინტერვიუს მოცემაზე. ამისათვის უღრმესი მადლობა თქვენ.

არაფრის. პირიქით, ჩემთვისაც სასიამოვნოა თქვენთან ურთიერთობა. გისმენთ. მკითხეთ, რაც გინდათ.

მინდა გულახდილად გითხრათ, აქამდე თქვენს საქმიანობაზე არაფერი ვიცოდით. რას გვეტყვით თქვენს პროფესიაზე?

კარიერის კონსულტირების პროგრამა არის საქართველოში ექვსი განვითარებული ქვეყნის გამოცდილებაზე დაყრდნობით შექმნილი პირველი კარიერის კონსულტირების სასერტიფიკატო კურსი. მე კი ვარ საქართველოში ამ ეტაპისთვის პირველი ოქროს სერტიფიცირებული კარიერის კონსულტანტი. ოქროს იმიტომ, რომ სერტიფიცირება რომ მიმეღო, შესაბამისი ეტაპები უნდა გამევლო და ოქრომდე მიმეღწია.

საინტერესოა, რა ფაქტორებმა შეიძლება განაპირობოს ჩვენი პროფესიული არჩევანი?

ამაზე დღემდე ფიქრობენ მეცნიერები და ფსიქოლოგები. ჩემი აზრით, დროისა და გარემოს ცვლილებასთან ერთად ვვითარდებით ჩვენც და სხვადასხვა გადაწყვეტილებებს ვიღებთ. მაგალითად, ჩვენი ბებია-ბაბუების პერიოდში ერთ ადგილას რომ მუშაობას იწყებდნენ, იქ რჩებოდნენ პენსიაში გასვლამდე. უფრო მეტიც, ამით ამაყობდნენ კიდეც. დღეს ადამიანი შესაძლებელია, რამდენიმე ადგილზე ერთდროულად მუშაობდეს და პროფესიაც რამდენჯერმე გამოიცვალოს. დღევანდელობას რომ დავუკვირდეთ და მასშტაბურად რომ შევხედოთ ამ საკითხს, ძირითად შემთხვევაში პროფესიის არჩევას განაპირობებს ოჯახი, სკოლა, მეგობრები, ერთი სიტყვით, ჩვენი სოციუმი. არის შემთხვევები, როდესაც ადამიანი ნანახი ფილმის, ანდა წაკითხული წიგნის შთაბეჭდილებებიდან გამომდინარე იღებს გადაწყვეტილებას.

რა გამოწვევების წინაშე შეიძლება დადგეს მოსწავლე პროფესიული არჩევნის გაკეთებისას?

შრომის ბაზარს რომ დავაკვირდეთ, ყოველთვის იცვლება პროფესიები და ემატება სულ ახალი და ახალი სფეროები. ეს კი თავისთავად ადამიანის ცვლილებასა და განვითარებას მოითხოვს და, შესაბამისად, ეს ყველაზე დიდი გამოწვევაა. ამერიკელ სოციოლოგთა კვლევით შემოქმედებითი ადამიანი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ექვსჯერ მაინც იცვლის პროფესიას, ამიტომ ახალგაზრდებს ვურჩევ, რომ მიიღონ ახალი ცვლილებები და არ შეეშინდეთ პროფესიის შეცვლის, რადგან ეს ძალიან ნორმალურია. მთელი ცხოვრება ჯერ წინ არის.

რისი ცოდნაა აუცილებელი პროფესიული არჩევანის გაკეთებამდე?

პირველი ის, რომ ვიცნობდეთ საკუთარ თავს. თუ ვართ ისეთი ადამიანი, რომელსაც უყვარს მოგზაურობა, ფოტოების გადაღება ან თუნდაც ინტერნეტ სფეროში ინფორმაციის ძიება, უკვე გარკვეული დასკვნის გამოტანა შეგვიძლია. სწორედ ჩვენი მოწონებებისა და ინტერესებიდან შევიცნობთ საკუთარ თავს. მარტივი ხრიკია, თუ გვინდა, რომ გავიგოთ, რა მოგვწონს, არის ის, რომ ინტერნეტში რასაც ყველაზე ხშირად ვეძებთ, ვუყურებთ, ზუსტდაც რომ მსგავსი ალგორითმით შეგვიძლია დავაკვირდეთ საკუთარ თავს. გავიგოთ, როგორი პიროვნების სტილი გვაქვს? რითი ვერთობით? რა მოგვწონს? რა შედის ჩვენს ინტერესებში? ამიტომაც პროფესიული არჩევანის გაკეთების დროს ყველაზე მნიშვნელოვანი იმის ცოდნაა, თუ რა მოგვწონს ჩვენ.

მაინც რა რჩევებს მოგვცემთ პროფესიის არჩევისას?

დანარჩენ კითხვებშიც ვახსენე უკვე, თუ როგორ შეგვიძლია სწორად ავირჩიოთ პროფესია. თუმცა, დავამატებდი წიგნსაც, რომელიც გზას გაგიკვლევთ. ეს არის **«იკიგაი».** ეს წიგნი დაგეხმარებათ, გაიგოთ, რა გსურთ თქვენ. ამას

გარდა, უნდა გაარკვიოთ, თუ როგორი სამუშაოა სათქვენო. მაგალითად, ხომ არ ხართ ისეთი კატეგორიის ადამიანი, რომელიც თანახმაა, იქ იმუშაოს, სადაც კარგად უხდიან, მაგრამ თვითონ სამუშაო არ მოსწონს. ამით მარტივად გაარკვევთ მატერიალისტი ხართ თუ არა? სწორი არჩევანი რომ გააკეთო, უნდა იცოდე შენი ღირებულებები და ინტერესები და, რაც მთავარია, საკუთარი თავი.

რა ბარიერი შეიძლება შეგვხვდეს კარიერის დაგეგმვის პროცესში?

ბარიერი შეიძლება იყოს ჩვენი ოჯახი, მეგობრები, ჩვენი სოციუმი, ფინანსები, ჩვენი ინტერესები. ასევე შეიძლება იყოს ისიც, რომ უკვე კი ვმუშაობთ, მაგრამ აღარ

რას ეტყოდით ჩვენ სკოლის მოსწავლეებს, რა სამომავლო რჩევას მისცემდით მათ?

ერთი დღე აიღეთ ყველაფრის გარეშე, რომ გაიგოთ, რა მოგწონთ, რა გინდათ და რა ინტერესები გაქვთ. ვურჩევ-

გვსურს, მთელი ცხოვრება ამით დავკავდეთ. ამ დროს ფიქრს ვიწყებთ იმ დროზე, იმ ხარჯებზე, რომელიც აქამდე გამოვიარეთ და სწორედ იმის გააზრება გვიქმნის ბარიერს, რომ, რაც აქამდე გამოვიარეთ, შეიძლება წყალში გადაიყაროს. თუმცა კარგი ისაა, რომ ახალი ინტერესი გვიჩნდება და გვინდა, რომ პროფესია შევიცვალოთ. ე. ი. საკუთარი თავის პოვნას ვცდილობთ. გირჩევთ გამოწვევებს არ შეუშინდეთ და აკეთეთ ის, რისი კეთებაც მართლა მოგწონთ.

შეიძლება გვითხარათ, რა როლი ასრულებს კარიერის კონსულტანტი მოსწავლის კარიერულ არჩევანში?

ჩვენ კარიერის კონსულტანტებს გვაქვს ოთხი მიმართულება, რითიც ჩვენ ვმუშაობთ: დიაგნოსტირება, ღირებულებები, პროფესიაზე ჩამოყალიბება და დასაქმების შერჩევა. ჩემი აზრით, ძალიან კარგია პროფესიონალთან მისვლა და საკუთარი თავის შეცნობა. რადგან გვეხმარება მომავლის აწყობასა და განვითარებაში. მაგრამ პროფესიულ კონსულტატთან ვიზიტის მერე ფიქრობენ, რომ საკმარისია, მივედი, გავიგე და მორჩა. თუმცა არაა ასე, პირიქით, წესით ყველაფერი მაშინ იწყება.

ვდი მათ, რომ თვითდისციპლინა შეინარჩუნონ, რადგან ეს ჩამოუყალიბებთ მათ ჯანსაღი ცხოვრების წესს და ეს იმოქმედებს მათ ემოციებზეც. რადგან ეს ყველაფერი ჩვენს არჩევანზე დიდ გავლენას ახდენს. ყველა თქვენგანს ვუსურვებ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამყარებას და საკუთარი თავის შეცნობას. წარმატებები.

P.S. ჩვენც ქალბატონ მარიამს კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადეთ მობრძანებისთვის და დავემშვიდობეთ. მერე ერთხანს ჩუმად ვისხედით. პირველად ახლა გავიაზრეთ, რომ უკვე დიდები ვართ და მართლა სერიოზულად უნდა დავიწყოთ ფიქრი ჩვენს მომავალ პროფესიებზე. არადა, მართლა რა საშინელება იქნება, მთელი ცხოვრება აკეთო ის, რაც არ მოგწონს და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ კარგ ხელფასს გაძლევენ. ასე ხომ, ქალბატონი მარიამისა არ იყოს, საკუთარ თავს დავკარგავთ. ამაზე ნამდვილად ღირს დაფიქრება.

სტატიის ავტორი: მარი მახარაძე

იყავი შენი ცხოვრების კაპიტანი

(ინტერვიუ გიორგი აგირბაიასთან)

„მთავარია, გქონდეთ ხედვა და გჯეროდეთ იმის, რასაც აკეთებთ, სხვა დანარჩენი სწავლებადი და განხორციელებადია“ - ეს სიტყვები ProActive Group Georgia-ის დამფუძნებელს, გიორგი აგირბაიას, ეკუთვნის. ის აგრეთვე საჯარო მმართველობის დოქტორი, საერთაშორისო პროგრამების მენეჯერი, სერტიფიცირებული ტრენერი და განათლების კონსულტანტი, გლობალური ახალგაზრდული ქსელების წევრი და გერმანიის მარშლის ფონდის სტიპენდიანტია (GMF TILN Fellow). დღეს ის ჩვენი სკოლის გაზეთის, „ნოვაციის ქრონიკების“, სტუმარია და მადლობა მას იმისთვის, რომ ჩვენთან გასაუბრებისა და გამოცდილების გაზიარებისთვის დრო გამონახა. გთავაზობთ მასთან გასაუბრების

ბატონო გიორგი. თქვენ ძალიან შთამბეჭდავი რეზიუმე გაქვთ. დარწმუნებული ვარ, ჩვენი სკოლის ყველა მოსწავლეს, მით უმეტეს უფროსკლასელებს აინტერესებთ სამომავლოდ ცოდნის მიღებისა და გამოცდილების შეძენის რა შესაძლებლობები არსებობს საზღვარგარეთ?

სკოლის პერიოდში უცხოეთში სწავლა თუ გაცვლით პროგრამაში, თუნდაც ერთი ან ორკვირიან პროექტში მონაწილეობა, ჩემთვისაც დიდი ოცნება და ძალიან შორეული პერსპექტივა იყო. მაშინ ინტერნეტიც არ იყოს ასე ხელმისაწვდომი და ევროკავშირიც ასე ახლოს არ იყო. თითო ოროლა პროექტზე ინფორმაცია რეგიონებში ნაკლებად აღწევდა. დღეს ამ უნიკალური გამოცდილების მისაღებად მრავალფეროვანი პროგრამები არსებობს: დაწყებული სკოლის ასაკიდანვე სხვადასხვა მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამებით, როგორებიცაა: Erasmus+ ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამები ევროკავშირის წევრ და პარტნიორ ქვეყნებში (13 წლიდან მოსწავლეებისთვის); ბენჟამინ ფრანკლინის გაცვლითი პროგრამა ამერიკაში (16-18 წლის ახალგაზრდებისთვის), ყველასთვის კარგად ცნობილი FLEX-ის გაცვლითი პროგრამა, რომელიც ქართველ მოსწავლეებს ერთი წლით უფინანსებს ამერიკულ სკოლაში სწავლას და ცხოვრებას; ევროპის საბჭოს საზაფხულო ბანაკი, გაცვლითი პროექტი თუ სხვა; ასევე ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოების მიერ გამოცხადებული საზაფხულო ენის კურსები, პროგრამები თუ სხვა. 18 წლიდან ადამიანებისთვის, ასეთი შესაძლებლობების უფრო მეტი და მრავაფეროვანი არჩევანია.

ჩვენ, მოსწავლეებს, ზოგჯერ ძალიან გვიჭირს პროფესიის არჩევა. ამიტომ ძალიან გვაინტერესებს, თქვენ რას ფიქრობთ, რომელი პროფესიები შეიძლება გახდეს პოპულარული შემდგომი, თუნდაც 5 წლის განმავლობაში?

დღეს ტექნოლოგიები ჩვენი ყოველდღიური თუ ლამის ყოველწუთიერი ცხოვრების ბუნებრივი განუყოფელი ნაწილი გახდა, რაც 10-15 წლის წინ ძნელად სავარაუდო იყო. მსოფლიო ტექნოლოგიური პროცესები ისეთი ტემპით ვითარდება, მათ შორის ხელოვნური ინტელექტი (AI), რომ ეს მიმართულებები იქნება ყველაზე მოთხოვნადი, პოპულარული და მაღალანაზღაურებადიც. მეორე საკითხია, რომ სხვა პროფესიებიც შეინარჩუნებენ პოპულარობას, მაგრამ ყველას ვურჩევ ამ წუთიდანვე დაიწყონ ტექნოლოგიებთან, ხელოვნურ ინტელექტთან მეგობრობა. სულ მცირე უფრო ახლოს გაცნობა მისი შესაძლებლობების, რომელიც ბევრი ჩვენგანის ცხოვრებას ამარტივებს და მომავალში კიდევ უფრო გაამარტივებს. ინგლისური და უცხო ენები ცალსახად იქნება მუდამ აქტუალური, ასევე ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარები, მენეჯმენტი, მოლაპარაკებების, დამარწმუნებელი საჯარო გამოსვლები. ყველა ის პროფესია, რომელსაც ეს უნარები სჭირდება იქნება პოპულარული და მაღალანაზღაურებადი, მაგრამ მე მაინც მგონია ადამიანმა, ის საქმე უნდა აკეთოს და იმ პროფესიაში დახელოვნდეს, რომელიც სიამოვნებას ანიჭებს და შეუძლია საკუთარი პოტენციალის მაქსიმალური რეალიზება.

რას გვირჩევთ, თუ სამომავლოდ უცხოეთში გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღებას გადავწყვეტთ? საიდან დავიწყოთ?

პირველი და ძალიან მნიშვნელოვანია, იცოდეთ, რატომ გინდათ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა. მიზეზი, რა თქმა უნდა, ბევრნაირი შეიძლება იყოს. მაგალითად, ინტერესი, კონკრეტულად ამა თუ იმ პროექტის სპეციფიკა, სფერო, თემატიკა. მეორეც პირველიდან გამომდინარეობს. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ მსგავსად ასობით ადამიანს სურს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა, უცხოეთში წასვლა, მოგზაურობა, სწავლა ევროპასა თუ ამერიკაში. ამიტომ უნდა იცოდეთ, თქვენს ისტორიას, გამოცდილებას, მოტივაციას რა ხდის უნიკალურსა და გამორჩეულს.

ამასთანავე აუცილებელი და მნიშვნელოვანია, რომ გქონდეთ გეგმა, დაბრუნების შემდეგ როგორ გააზიარებთ ცოდნასა და გამოცდილებას ადგილობრივ დონეზე, სკოლაში, ქალაქში, ორგანიზაციასა თუ ქვეყანაში. ვის და როგორ გაუზიარებთ მიღებულ ცოდნას, გამოცდილებას.

სამოტივაციო წერილის წერისას ყურადღება გაამახვილეთ თქვენს ჩართულობაზე მოხალისედ, ან არაფორმალური განათლების აქტივობებში და რა გასწავლათ ამ ტიპის პროექტებში მონაწილეობამ, ადამიანებთან ურთიერთობამ.

ბატონო გიორგი, შეიძლება გვითხრათ სად მოვიძიოთ ინფორმაცია გაცვლითი პროგრამების შესახებ?

მინდა აღვნიშნო, რომ ერთი უნივერსალური საიტი, სადაც ყველა პროექტსა თუ შესაძლებლობაზეა თავმოყრილი ინფორმაცია, არ არსებობს, მაგრამ არსებობს სხვადასხვა Facebook ჯგუფები, გვერდები, ვებსაიტები, სადაც მსგავსი პროექტების შესახებ ინფორმაციას მოიძიებთ, ნაწილს აქვე გიზიარებთ:

https://www.salto-youth.net/ ; https://www.facebook.com/EP.Georgia

https://www.facebook.com/euneighbourseast ; https://euneighbourseast.eu/ ;

https://www.facebook.com/profile.php?id=61556395771419

https://www.facebook.com/proactivegroupgeorgia

ასევე სასურველია, დაემატოთ სხვადასხვა თემატურ ჯგუფს, გამოწერილი გქონდეთ ზემოაღნიშნული გვერდები, საელჩოების facebook გვერდები და სხვ..

რატომ არის მნიშვნელოვანი უცხოური ცოდნისა და გამოცდილების მიღება და მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში, უცხოურ ბანაკებში და ა.შ. რა უპირატესობას გვანიჭებს ეს მოსწავლეებს?

საზღვარგარეთ სწავლას ბევრი უპირატესობა გააჩნია. მათ შორის ეცნობი უცხო ქვეყნის კულტურას, ტრადიციებს, ცხოვრების სტილს, გიწევს უცხო ენაზე საუბარი ხშირად, გიადვილდება იმ ქვეყნის ენის სწავლა, სადაც სწავლობ და ცხოვრობ, მეგობრების ქსელი ხდება უფრო გლობალური, იზრდები პიროვნულად და ვითარდები პროფესიულად, რადგან გიწევს კომფორტის ზონიდან გამოსვლა ახალ ქვეყანაში დამოუკიდებლად მოგზაურობისა და ცხოვრებისას. ხდები უფრო დამოუკიდებელი გადაწყვეტილებებში, არჩევანში, სწრაფად ადაპტირება გიწევს გარემოსთან. ეს გეხმარებათ გახდეთ უფრო მეტად პროაქტიურები, სწრაფად და შედარებით ადვილად გადალახოთ სხვადასხვა სიძნელე, დაიმკვიდროთ თავი სოციუმსა და პროფესიულ წრეებში.

რას ურჩევდით მოსწავლეებს, რომლებიც ახლა იღებენ გადაწყვეტილებას და პროფესიას ირჩევენ?

ჩემი რჩევაა, ეცადეთ მაქსიმალურად უკეთესად გაიცნოთ საკუთარი თავი, ინტერესები, რისი კეთება გსიამოვნებთ, გაითვალისწინეთ თქვენი მისწრაფებები, ძლიერი მხარეები და გრძელვადიანი მიზნები. შეიძლება არც ისე მარტივად ჟღერდეს ეს ყველაფერი, მაგრამ ბევრ დროს დაგიზოგავთ მომავალში და მაქსიმალურად თქვენთვის საინტერესო, სასარგებლო გადაწყვეტილებისკენ გიბიძგებთ. შეისწავლეთ სხვადასხვა ინდუსტრიები, დაესწარით პროფესიული ორიენტაციის შეხვედრებს, ტრენინგებს, რომლებსაც სხვადასხვა უნივერსიტეტები გთავაზობენ უფასოდ. კონსულტაციებისთვის შეიძლება უფროს გამოცდილ მეგობართან გასაუბრებაც, მაგრამ მხოლოდ კონსულტაციისთვის. პროფესიის, უნივერსიტეტისა თუ ფაკულტეტის შეცვლა მეორე-მესამე კურსზეც შეიძლება. ასევე შეიძლება ევროპის სოლიდარობის კორპუსის პროგრამით (European Solidarity Corps) 2 კვირიდან და 1 წლამდე წახვიდეთ ევროკავშირის რომელიმე წევრ ქვეყანაში მოხალისედ, თან სრული დაფინანსებით. ამან შეიძლება მთლიანად შეცვალოს თქვენი შეხედულებები, გეგმები თქვენთვის სასიკეთოდ. შესაძლებლობები და არჩევანი მრავალფეროვანია, მთავარია, ეს ყოველივე იყოს გააზრებული გულისა და გონების კარნახით, ანალიზით შეჯერებული. მუდამ გქონდეთ ხედვა და გჯეროდეთ იმის, რასაც აკეთებთ, სხვა დანარჩენი სწავლებადი და განხორციელებადია.

ძალიან დიდი მადლობა ინტერვიუსთვის. წარმატებებს გისურვებთ!

მადლობა თქვენ მოწვევისთვის.

სტატიის ავტორი: მარი მახარაძე

P.S იყავი შენი ცხოვრების კაპიტანი და არა უბრალოდ მგზავრი - ეს სიტყვები ბატონ გიორგის ეკუთვნის. ჩვენ ის არასოდეს დაგვავიწყდება.

ჩვენ ვიწყებთ!

(ნორჩ ჟურნალისტთა და ლიტერატურის მოყვარულთა კლუბი „ფოლიანტი“)

დიახ, ჩვენ ვიწყებთ ჩვენი სკოლის მატიანეს შექმნას. გვესმის, რომ ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. განა ადვილია, დრო გააქვავო სიტყვაში და მოახერხო მთელი სკოლის ცხოვრების გაზეთის ფურცლებზე გადმოტანა?! ამით ხომ ერთგვარად მშობლიური სკოლის ჟამთააღმწერელი ხდები. ჰოდა, მკითხველო, თუ ახლა ჩვენი სკოლის გაზეთი „ნოვაციის ქრონიკები“ ხელში გიჭირავთ და გვკითხულობთ, ე. ი. ჩვენ მართლა დავიწყეთ და გაზეთის პირველმა ნომერმა მზის სინათლე ნახა. .. ჩვენ გზის დასაწყისში ვდგავართ და ჩვენზე პატარებს, ჩვენი სკოლის მომავალ თაობებს, ჩვენს გამოცდილებას გავუზიარებთ. ჩვენ რომ უკვე სკოლას დავამთავრებთ და სტუდენტები გავხდებით, ისინი ჩვენს გზას გააგრძელებენ - სკოლის გაზეთში ასახავენ თავიანთი თაობის ინტერესებს, მასში არეკლავენ სასკოლო ცხოვრებას.

სათავეში დგომა ძნელია, მაგრამ საინტერესო.

ვინ ვართ ჩვენ?

გაგიმხელთ ზოგიერთი ჩვენგანის პასუხს ამ კითხვაზე.

მარიამ ქვაჭრელიშვილი (XI კლ.) - „მე?... მე ვინ ვარ? ეს მეც ვერ გამირკვევია... ამიტომ ბევრს ვერ გეტყვით... არც ის ვიცი, რა „მისია“ მაკისრია ამ სამყაროში, მაგრამ ვიცი, რა მიყვარს და მომწონს და რა - არა. მაინც რა მიყვარს?! მიყვარს ბევრი რამ. მაგალითად, სიმღერა, თეატრი, ხატვა, სიცილი, ზაფხული, შუაღამისას ვარსკვლავების ცქერა, დილის ნისლში სეირნობა და წიგნის პერსონაჟის თვალით სამყაროს დანახვა....მიყვარს ბებოს თონიდან ახლად ამოღებული პურის სურნელი და დედიკოს სიცილი... ეს იმ, თითქოს, პატარა რაღაცების პატარა ჩამონათვალია, რაც ჩემს გულს სიხარულით ავსებს.“

თეკლე ქემერტელიძე (VIII კლ.) **-** „მე იქ ვცხოვრობ, სადაც ფიქრები ფესვებს იდგამენ. ახლა, რასაც კითხულობთ, მხოლოდ მცირედია იმისა, თუ ვინ ვარ მე. მე თეკლე მქვია, მაგრამ სახელების ცოდნა ადვილია, უფრო რთულია, იცნობდე ადამიანს, რომელიც ამ სახელის უკან დგას. მიყვარს კითხვა, ფილმების ყურება, ასტრონომია, მათემატიკა, ვარდები, მუსიკა, მეგობრებთან ყოფნა, გვიან ღამით ვარსკვლავებზე დაკვირვება, ზაფხული და კიდევ იმდენი რამ, რომ ჩამოთვლა უსასრულოდ შემიძლია გავაგრძელო... ერთი სიტყვით, ამოუცნობი გალაქტიკა ვარ, ჩემი ყოველი გაფიქრება ვარსკვლავია, ყოველი სიტყვა თანავარსკვლავედი. ყოველთვის მივისწრაფვი უსახელო და უხილვი ადგილებისკენ, რომლებიც ასობით საიდუმლოს მალავს...“

ელენე ნონიაშვილი (VII კლ.) **-** „ვინ ვარ მე? მე ვარ ელენე - სხვებისგან არაფრით გამორჩეული მეოცნებე. მე ვარ ის გოგო, რომელსაც დღედაღამ სახეზე ღიმილი ჰფენია და ყველაზე რთულ ვითარებაშიც ცდილობს გაიღიმოს; ვისაც ყველა უხერხული მომენტი საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი; ის, ვისაც ბიბლიოთეკის ძველისძველი წიგნების სურნელი სიამოვნებას ანიჭებს; ვისაც მეგობრებთან ერთად გატარებული დრო ყველაფერს ურჩევნია; სწორედ ის, ვისაც დედის თბილი ჩახუტება გულზე მალამოდ ედება; ის, ვისაც არც ერთი ხუმრობა თუ წყენა არ ავიწყდება...“

ბარბარე არღუთაშვილი (IX კლ.) **-** „გამარჯობა, მე ბარბარე ვარ, მეცხრეკლასელი. ბავშვობიდან ვცდილობ ჩემი თავის პოვნას. ჰო, მართლა, ყოფილი ფრენბურთელიც ვარ. ძალიან მიყვარს ეს სპორტი, თუმცა სწავლა და სპორტი ერთმანეთს ვერ შევუთავსე... ვუკრავ ფორტეპიანოზე და ეს პროცესი დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ასევე ვარ თვითნასწავლი მხატვარი. ჩემს თითქმის ყველა ნახატს «ბუნების სილამაზე» ჰქვია. ვცდილობ, ჩემი თვალით დანახული სამყარო გადმოვიტანო ფურცლებზე. ვწერ პატარა ჩანახატებსაც... თავისუფალ დროს წიგნების კითხვა და ფილმების ყურება მიყვარს. ერთი დიდი სისუსტეც მაქვს - დიდი და ლამაზი პაზლის აწყობა, რომელიც შემდეგ ოთახს მილამაზებს. კიდევ მინდა ბევრი ახალი რამის ცდა. რაც „ფოლიანტის“ წევრი გავხდი, ჟურნალისტიკამაც დამაინტერესა, ვნახოთ საითკენ წავა ჩემი ცხოვრება!“

თათული მაგრაქველიძე (IX კლ.) **-** „მე ვარ თათული მაგრაქველიძე. ვსწავლობ მეცხრე კლასში. კლუბის შეკრებაზე ფოტოგრაფობა დამავალეს. უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვობიდან მიტაცებს მხატვრობა. სამი წლიდან ვხატავ. ვმონაწილეობ გამოფენებში. ამიტომ, ვფიქრობ, კლუბის ფოტოგრაფობაც არ გამიჭირდება. შევეცდები შევარჩიო და გადავიღო საჭირო კადრები. მხატვრობის გარდა, მუსიკაც მაინტერესებს. დავამთავრე ექვსწლედი და ამით დამთავრდა ფორტეპიანოსთან ჩემი ურთიერთობაც. გარდა მხატვრობისა და მუსიკისა, მე კითხვაც მიტაცებს. წაკითხული მაქვს ბევრი საინტერესო წიგნი. კითხვასთან ერთად მოთხრობების წერაც მიყვარს. ბავშვობიდანვე ვწერ პატარ-პატარა ჩანახატებს. აი, სულ ესაა ჩემ შესახებ.“...

საკლუბო ცხოვრებაში ემოციურად ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი დღე ყველაზე პატარა წევრის - **გიორგი აფციაურის -** შემომატება იყო. ყველანი გოგონები ვართ და ერთი ჯენტლმენი, მართლაც, გვჭირდებოდა. შეიძლება გაგეცინოთ, გიორგი ხომ ჯერ მეხუთეკლასელია, მაგრამ თუ გაიცნობთ, მიხვდებით, რომ ის, მართლაც, თავის ასაკთან შედარებით ძალიან ჭკვიანია. მან კლუბში მის მიერვე შექმნილი კომიქსის პრეზენტაცია წარმოგვიდგინა და თავი ყველას შეგვაყვარა.

კლუბის სტუმართაგან გამორჩეულად საინტერესო მწერალი გურამ მეგრელიშვილი იყო. მას მთელი სკოლა მასპინძლობდა. ჩვენც ჩვენი ჩანახატები წავუკითხეთ და მისი შეფასებებიც მოვისმინეთ. საპატიო სტუმარმა შეხვედრის ბოლოს კლუბის შთაბეჭდილებების წიგნში ჩანაწერიც დაგვიტოვა, აი, ამონარიდი მისი ჩანაწერიდან:



„ ... ყველა სკოლა, ჩემი აზრით, უპირველესად სწორედ შემოქმედებითი პოტენციალის ჩვენებით უნდა იზომებოდეს. ამ მხრივ, „ფოლიანტი“ ნამდვილი საგანძურია! ახალი მწერლების საბადო ყოფილა აქაურობა.“





რა თქმა უნდა, ჩვენც გვესმის მწერლობამდე ბევრი გზა რომ გვაქვს გასავლელი, მაგრამ ასეთმა შეფასებამ გაგვახარა.

დასამახსოვრებელი იყო საბავშვო მწერალთან, ქალბატონ ნინო ქადაგიძესთან, შეხვედრაც. ის მისი საბავშვო წიგნის, „ონანას“, წაკითხვის შემდეგ ეკა მასწავლებლის (ეკა ჯავახიშვილის) მოწვევით ჩვენი სკოლის პატარებს შეხვდა. ჩვენც გავესაუბრეთ ქალბატონ ნინოს, მან მწერალთა კაშირში დაგვპატიჟა და საოცარი ადამიანური სევდითა და სინაზით გამთბარი მინიატურების კრებული „ცერცვისტოლა ამბები“ დაგვიტოვა საჩუქრად...

წინ ბევრი საინტერესო ღონისძიება, სტუმარი თუ ლიტერატურული საღამო გველოდება და მაინც, თუ ახლა ჩვენი სკოლის გაზეთი „ნოვაციის ქრონიკები“ ხელში გიჭირავთ და გვკითხულობთ, ე. ი. მართლა დ ა ვ ი წ ყ ე თ.

P.S. ჩვენ:

კლუბის პრეზიდენტი - მარიამ ქვაჭრელიშვილი.

მდივანი - ეკატერინე მელიწკაური

ლიტ. კლუბის პიარ - მენეჯერი -ანასტასია გრიგოლავა

კლუბის ფინანსისტი/ ბუღალტერი - თეკლა ქემერტელიძე

ფოტოგრაფი - თათული მაგრაქველიძე

დიზაინერი - ანასტასია კენჭაძე

გაზეთ „ნოვაციის ქრონიკების“ რედაქტორი - ბარბარე არღუთაშვილი

ჟურნალისტები: ანა ლობჟანიძე, გიორგი აფციაური, ელენე ნონიაშვილი, ნინო ხურცილავა.

ელენე ნონიაშვილის რუბრიკა

ფიქრის ზონა

ფიქრის ზონა ინტელექტუალური განტვირთვის რუბრიკაა მოსწავლეთათვის, სადაც თავსატეხები, გამოცანები და კროსვორდები გონებას ასვენებს და ამავდროულად ავითარებს აზროვნებას.

აი, თუნდაც, რამდენს გიყვართ ქართული ენის გრამატიკა? ეს ხომ წესების სამყაროა... არ დაიჯერებთ, მაგრამ ის შეიძლება ხანდახან ძალიან სახალისო გახდეს. მაგალითად, ზმნის უღლებას დაწყებითი კლასებიდან გვასწავლიან. შემოგთავაზებთ რამდენიმე მათგანს.

* * *

მე ვსწავლობ
შენ სწავლობ
ის სწავლობს
ჩვენ ვსწავლობთ
თქვენ სწავლობთ
ისინი ექსკურსიაზე მიდიან.

* * *

მე ვემზადები
შენ ემზადები
ის ემზადება
ჩვენ ვემზადებით
თქვენ ემზადებით
ისინი 100% გრანტს იღებენ

* * *

მე ვშრომობ
შენ შრომობ
ის შრომობს
ჩვენ ვშრომობთ
თქვენ შრომობთ
ისინი აგარაკზე ისვენებენ

* * *

მე ვვარჯიშობ
შენ ვარჯიშობ
ის ვარჯიშობს
ჩვენ ვვარჯიშობთ
თქვენ ვარჯიშობთ
ისინი ოლიმპიური ჩემპიონები ხდებიან

ამ ბოლო დროს გამოცანების წერა დავიწყე. არ ვიცი, გამომდის თუ არა. ლიტერატურის კლუბში მეუბნებიან, ძალიან კარგიაო. მე კი თქვენი აზრიც მაინტერესებს. აბა, თუ გამოიცნობთ. ჰო, მართლა, ფრჩხილებს შიგნით რამდენი წერტილიცაა, იმდენი ასოსგან შედგება სწორი პასუხიც.

* * *

მე ვცოცხლობ, როცა ვანათებ.
ვქრები ნელ-ნელა, ვიწვები.
ცოცხლად მჭამს ალი კეთილი,
როცა მე ბნელში ვინთები.
(.....)

* * *

სულ მუდამ ჩემზე წინ მიაბიჯებ.
ვერ მიგატოვებ, უკან მოგყვები..
მზის შუქზე ვჩნდები. ღამით კი ვქრები,
ყველგან ვარ, თუმცა ვერ შეგეხები.
(.....)

* * *

ხეს ვგავარ და
ფესვი არ მაქვს,
ბუჩქში ვმალავ
ოქროს კავებს.
შენ თუ გნახე,
გაქრი მალე,
ჩემ გარეშე
დაიმალე.
(.....)

* * *

მე მებრძოლი როგორ ვიყო,
იქვე ვსწავლობ, როცა ვჩნდები.
წყალს ვერ ვიტან,
თავს კი ვიცავ,
ნელა, კოხტად ვლამაზდები.
ყვავილს ვისხამ იშვიათად.
ხელს ნუ მკიდებ, ნუ მეხები.
გაგამწარებ, პასუხს გაგცემ,
თუკი ისევ შემეხები.
(.....)

კალეიდოსკოპი

პროფორიენტაციის პროგრამის ფარგლებში მარიამ ედიბერიძე, პიროვნული და პროფესიული განვითარების ტრენერი, ჩვენი სკოლის მოსწავლეებს შეხვდა.

შეხვედრის ძირითადი თემა იყო თვითშეფასება და მისი როლი გადაწყვეტილების მიღების დროს.

შეხვედრა დაგეგმილი იყო არაფორმალური სწავლების მეთოდით, რის წყალობითაც მოსწავლეები ჩაერთვნენ ინტერაქტიულ სავარჯიშოებში, სადაც იმუშავს თვითშეფასების თემაზე, მის არსზე, შინაარსსა და გამომწვევ ფაქტორებზე. გააანალიზეს, როგორ მოქმედებს ის გადაწყვეტილებების მიღებაზე და როგორ დაინახონ საკუთარი შესაძლებლობები რეალისტურად და თავდაჯერებულად

ჩვენი სკოლის 2025 წლის კურსდამთავრებული, სალი დარგუაშვილი, 9-იდან 14 ნოემბრამდე გაცვლითი პროგრამით მადრიდში იმყოფებოდა. პროექტი "გარემოზე დადებითი ზემოქმედების ციფრული ინკუბატორი - ახალგაზრდების მიერ მართული მდგრადი პროექტების გაძლიერება " (Digital Incubator for Environmental Positive Impact - Enhancing Youth-led Sustainable Projects) ხორციელდებოდა ERASMUS+ პარტნიორობის ფარგლებში სოციალური ინოვაციებისა და მეწარმეობის ცენტრთან SINC თანამშრომლობით. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა ქვეყნის მონაწილე 20-მდე ახალგაზრდამ შეისწავლა ეკოლოგიურად მდგრადი პროექტების შემუშავება და განხორციელება ციფრული ინსტრუმენტებისა და ინოვაციების გამოყენებით.







მასალა შეაგროვეს: ეკატერინე მელიწკაურმა (VIIკლ.) და
ნინი ხურცილავამ (VII კლ.)

ედისონის
სახელოობის
სკოლა
ნოვაცია

თქვენი წარმატება ჩვენი მისიაა!

514314000

edison.edu.ge

info@edison.edu.ge

- ✓ გაძლიერებული ჰუმანიტარული და ტექნიკური მიმართულებები: მათემატიკა, ქართული ენა და ლიტერატურა, STEM სწავლება, პროგრამირება, უცხო ენების მრავალფეროვანი არჩევანი: ინგლისური ენა, გერმანული ენა, იაპონური და ესპანური ენები.
- ✓ ინგლისური ენის სწავლება საერთაშორისოდ აღიარებული Macmillan Education-ის და Pearson-ის სახელმძღვანელოებით. VII-XII კლასის მოსწავლეები აბარებენ Pearson-ის საერთაშორისო Level ტესტს, რომელიც ამოწმებს მოსმენას, კითხვას და წერას და დაფუძნებულია ხელოვნურ ინტელექტზე. ტესტი განსაზღვრავს ინგლისური ენის ცოდნის დონეს საერთაშორისო ევროპული ენის ჩარჩოს მიხედვით.
- ✓ VII კლასიდან Pearson-ის საერთაშორისო სახელმძღვანელოებით ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლება
- ✓ კვალიფიციურ პედაგოგთა გუნდი
- ✓ მრავალფეროვანი სასწავლო გარემო
- ✓ სკოლაში ყველა აუდიტორია აღჭურვილია სმარტ დაფებით, პროექტორებით და პერსონალური კომპიუტერებით, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებლებს თანამედროვე ტექნოლოგიები აქტიურად გამოიყენონ სასწავლო პროცესში.
- ✓ გახანგრძლივებული სწავლება 18:00 საათამდე (მოსწავლის მომზადება საშინაო დავალებებში)
- ✓ ჭადრაკის სწავლება პირველივე კლასიდან
- ✓ მეტყველების კულტურა 1-5 კლასებში
- ✓ სკოლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ უსაფრთხოების მანდატურები
- ✓ მეორე უცხო ენა: გერმანული, ესპანური, იაპონური
- ✓ ფსიქოლოგის საათი და მომსახურება

წრეები და კლუბები:

- ✓ რობოტიკის კლუბი
- ✓ ჭადრაკის წრე
- ✓ ქართული ხალხური ცეკვის წრე
- ✓ ხატვის და ძერწვის წრეები
- ✓ ბავშვთა ვოკალური სტუდია
- ✓ ლიტერატურის კლუბი „ფოლიანტი“
- ✓ დებატების კლუბი
- ✓ ინტელექტუალური კლუბი "რა, სად, როდის?"

დამატებითი ინფორმაციისთვის:

032 2784510, 571 871 100, 514 314 000

თეოფანე დავითაიას ქ. 18

https://www.facebook.com/edison.edu.ge/

ვებ გვერდი: edison.edu.ge

info@edison.edu.ge

გაზეთ „ნოვაციის ქრონიკების“ **სარედაქციო კოლეგია:**

რედაქტორი - ბარბარე არღუთაშვილი (IXკლ.);

ჟურნალისტები - მარი მახარაძე; მარიამი ქვაჭრელიშვილი (XIკლ.); ანასტასია გრიგოლავა (XIკლ.); ეკატერინე მელიწკაური (VIIკლ.); ანასტასია კენჭაძე (IXკლ.); თათული მაგრაქველიძე (IXკლ.); ელენე ნონიაშვილი (VIIკლ.); გიორგი აფციაური (Vკლ.); თეკლე ქემერტელიძე (VIIIკლ.); ნინო ხურცილავა (VIIკლ.); ანა ლობჟანიძე (XIკლ.)

კურატორი - ხ. ჩაჩანიძე-ყაველაშვილი, ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი პედაგოგი